სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ილია ბაიდოშვილის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (2023-2024წ.)

2021 წლის 3 დეკემბრიდან არჩეული ვარ საკრებულოს მაჟორიტარ წევრად მაღარო , ილია წმინდას ამომრჩევლების მიერ , ხოლო საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ვარ საკრებულოს ბიუროს წევრი და საკრებულოს იურიდიული კომისიის წევრი, ვმონაწილეობ როგორც ბიუროს, ასევე საკომისიო და სასესიო მუშაობაში .

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 16 სხდომა, ვესწრებოდი 16-ს, საკრებულოს ბიუროს 24 სხდომა, ვესწრებოდი 16-ს, ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 10 სხდომა, ვესწრებოდი -10-ს, სულ ჩატარდა იურიდიული კომისიის - 7 სხდომა, ვესწრებოდი -7-ს.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან . ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ამომრჩეველი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები.

**სოფ. მაღარო**

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. მაღაროში ისარგებლა 128 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 30420 ლარი.

კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (27 ბენეფიციარი) -11270 ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (23 ბენეფიციარი) - 4450 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (62 ბენეფიციარი)- 11400ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(9 ბენეფიციარი) -1400 ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (1ბენეფიციარი) 200 ლარი;

ოჯახების და ბავშვების სოც.დაცვა (ახალშობილი) 6 ბენეფიციარი - 1700 ლარი

## სოფ. ილიაწმინდა

საანგარიშო პერიოდში სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ილიაწმინდაში ისარგებლა 84 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 32000 ლარი.

კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (14 ბენეფიციარი) -6815 ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (10 ბენეფიციარი) – 1950 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (50 ბენეფიციარი)-9650 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(2 ბენეფიციარი) -350 ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (1ბენეფიციარი) 200 ლარი;

ოჯახების და ბავშვების სოც.დაცვა (ახალშობილი) 2 ბენეფიციარი - 500 ლარი;

სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება - (1 ოჯახი) – 3825 ლარი;

დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღსადგენად ფინანსური დახმარება - (2 ოჯახი) – 6800 ლარი;

სოც. დაუცველი სტუდენტების დაფინანსება - (2 სტუდენტი)- 2000 ლარი.

სოფ. მაღაროში რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

ამჟამად, მიმდინარეობს გია გოდერძიშვილის და რკინიგზის მიმდებარე ქუჩის რეაბილიტაცია, აგრეთვე სოფ. ილიაწმინდაში სრულდება ე.წ. „დიდი წყლის“ და „პაკრეშკების“ ქუჩის მოასფალტება.

სოფელ მაღაროსა და სოფ. ილიაწმინდაში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი დასასრულს უახლოვდება. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

როგორც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი აქტიურად ვაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას, აქტიურად ვთანამშრომლობ მერიის სამსახურებთან და ყველა

შესაბამის სტრუქტურასთან, რასაც დადებითი შედეგი მოაქვს მოსახლეობის პრობლემების მოგვარების საკითხებში.

ილია ბაიდოშვილი